

**ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანისა და პროგრამის გაუქმების პროცედურებს.
2. დოკუმენტი შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-4<sup>1</sup> მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.გ.“ ქვეპუნქტების და „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს №733 ბრძანების საფუძველზე.

**მუხლი 2. პროგრამის დამატების ინიცირება**

1. პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის თანამშრომელი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა დაინტერესებული პირი.
2. პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით კოლეჯის დირექტორის სახელზე.

**მუხლი 3. ახალი პროგრამის დამატების, არსებული პროგრამის ცვლილების ან გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია**

1. ახალი პროგრამის დამატების, არსებული პროგრამის ცვლილების ან გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქნება მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც განიხილავს ახალი პროგრამის დამატების, არსებული პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შესახებ განაცხადს;
2. ახალი პროგრამის დამატების, არსებული პროგრამის ცვლილების ან გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის (შემდგომში „მუდმივმოქმედი კომისია“) შემადგენლობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
4. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. მუდმივმოქმედი კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას ახალი პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის ან მასზე უარის თქმის შესახებ ასახავს ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
6. მუდმივმოქმედი კომისიის ოქმი წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

#### **მუხლი 4. პროგრამის ხელმძღვანელი**

1. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი/კოლეჯის წარმომადგენელი/დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი კომპეტენციით, მისი კვალიფიკაცია ან/და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს.
2. შესაძლოა ერთმა პირმა უხელმძღვანელოს რამდენიმე პროგრამას.
3. პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას, განვითარებას და მასში ცვლილებების შეტანას, ასევე მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში, ფორმალური განათლების აღიარების პროცესში და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.
4. პროგრამის ხელმძღვანელობა ითვლება დამატებით პასუხისმგებლობად.
5. პროგრამის ხელმძღვანელობაზე წერილობითი უარის თქმის შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის ახალი ხელმძღვანელის განსაზღვრის თაობაზე, რასაც წერილობით წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

#### **მუხლი 5. პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

1. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის შემთხვევაში, პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“), რომლის შემადგენლობაშიც აუცილებელ წევრად უნდა განისაზღვრონ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი/ შესაბამისი დარგის სპეციალისტი, ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
2. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.
3. პროგრამის შემუშავება ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები.
5. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.
6. არჩევითი მოდულების ნაწილში, გარკვეულ შემთხვევებში, მოცემულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის შეიქმნა. აღნიშნული ნაწილი შეიძლება არ შეიცავდეს ასეთ ჩამონათვალს. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს და განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის, სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.
7. კოლეჯის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებითი ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შექმნა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისთვის.
8. კოლეჯი ვალდებულია შეარჩიოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს.
9. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს არჩევითი მოდულ(ებ)ის გარეშე.

10. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ზოგადი მოდულების ნაცვლად უნდა მოიცავდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, რომელიც წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს და მათი პროგრამისაგან დამოუკიდებლად განხორციელება დაუშვებელია;
11. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში.
12. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 40 საათზე მეტი და საშუალოდ 30 საათზე ნაკლები (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც).
13. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
14. როდესაც მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთ კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.
15. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.

#### **მუხლი 6. მოდულის შემუშავების წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის შემუშავება ხდება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს №733 ბრძანების შესაბამისად.
2. მოდული შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია.
4. დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები.
5. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).
6. მოდულის ნაწილი - მოდულის განხორციელების მიდგომები: ფორმულირებები უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის მიდგომებს. თუ შემოთავაზებული მიდგომები გაზიარებული არაა, კოლეჯი თვითონ აყალიბებს საკუთარ მიდგომებს.
7. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).
8. მოდულში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილ(ებ)ი.
9. ტექნიკურ აღჭურვილობაში მიეთითება დაწესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა, რომელიც არ უნდა იყოს ნორმატივში მითითებულ პარამეტრებზე ნაკლები. აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
10. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა.
11. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯი

უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.

12. ცენტრის მიერ დამტკიცებული მოდული მოიცავს სასწავლო ლიტერატურისა და რეკომენდებული წყაროების ჩამონათვალს. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს მის საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ყველა სახის ლიტერატურის ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისათვის.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ჩართულობით, იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოდულის მოდიფიცირების/აკომოდირების მიზნით.

### **მუხლი 7. პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

2. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

### **მუხლი 8. პროგრამის დამტკიცების წესი**

1. პროგრამის ხელმძღვანელი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროგრამას განხილვის მიზნით წარუდგენს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს.

2. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს და ამოწმებს წარმოდგენილ პროგრამას.

3. პროგრამაში ხარვეზ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი რეკომენდაციებითა და მითითებებით პროგრამას უბრუნებს სამუშაო ჯგუფს.

4. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციებისა და მითითებების შესაბამისად.

5. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროგრამის მოწონების შემთხვევაში, შემუშავებული პროგრამა წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. მოდული წარმოდგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს).

8. დასამტკიცებლად წარმოდგენილ პროგრამის პროექტს, თან უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება.

9. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია/ხელმისაწვდომია სასწავლებლის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე (სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე პროგრამის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

10. პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს.

11. პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.

### **მუხლი 9. შემუშავებული პროგრამის დამატება**

1. კოლეჯი შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების შესაბამისად.

2. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ამზადებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენ დოკუმენტაციას - განაცხადს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ შესაბამის დანართებთან ერთად.

3. კოლეჯს პროგრამის განხორციელება შეუძლია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კოლეჯი ხელახლა წარადგენს განაცხადს პროგრამის დამატების თაობაზე.

### **მუხლი 10. პროგრამაში ცვლილებების (მოდულიზაცია) შეტანა**

1. პროგრამაში ცვლილებების (მოდულიზაცია) შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროგრამაში ცვლილების (მოდულიზაცია) ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, დაწესებულებაში მოქმედი შიდა მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს, დამსაქმებელს ან სხვა დაინტერესებულ პირს. პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთებით.

3. არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირებას განიხილავს წინამდებარე წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

4. მუდმივმოქმედი კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არსებულ პროგრამაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილების შეტანა.

5. ცვლილების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მის დამტკიცებამდე მოწმდება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ და წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად;

6. პროგრამაში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

7. პროგრამაში ცვლილების (მოდულიზაცია) შეტანის შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ აქტში საჭიროების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

8. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს, პროგრამის ცვლილება ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

9. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

### **მუხლი 11. არსებული პროგრამის გაუქმება**

1. არსებული პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;

ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების შესახებ;

გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;

დ) კონკრეტული პროფესიის კადრებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნის არარსებობა;

ე) პროგრამის ზედიზედ 3 წლის მანძილზე განუხორციელებლობა;

ვ) სხვა ობიექტური გარემოებები.

2. არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობას ადგენს წინამდებარე წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

3. მუდმივმოქმედი კომისია განიხილავს არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობას და კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

5. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

6. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯი წერილობით მიმართავს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 დღეში) საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ;

## **მუხლი 12. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი**

1. მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელებ-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, და ა.შ., ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს.

2. პროგრამის შეფასების მიზნით, კოლეჯი ახორციელებს:

ა) დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) გამოკითხვას;

ბ) სასწავლო პროცესზე დაკვირვებას;

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას;

დ) პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზს;

3. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა ხორციელდება როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში „ცენტრი“) წინადადებების ინიცირებების გზით.

ა) სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი ანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია. ეს საკითხები შეიძლება ეხებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას და სხვა.

ბ) კოლეჯი ახორციელებს სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესებას;

გ) კოლეჯი ახორციელებს დამსაქმებლისგან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თავად უნდა შეიცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ასეთი ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრის უფლებამოსილ ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას აღმოჩნდა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, კოლეჯი მიმართავს ცენტრს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.